გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


გაზეთი „ივერია“ პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.

ტფილისი, 23 აპრილი

შნებელეს საქმეა და მთელი ქურნალ-გაზეთობა. რაში მდგომარეობს ეს საქმე, უკვე მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს. ეხლა მეტი არ იქნება მოვუჩხრიკოთ სათავე და წვერი ვუპოვოთ გამოსახსნელი იმ მრავალფეროვნებაში, რომელშიაც ეს საქმე ქურნალ-გაზეთების სიტყვით დღეს ჩაყენებულია. შნებელეს დაჭერას თითქმის ყველა გაზეთები გერმანულთა გარდა და ზოგიერთი გერმანულიც, ბისმარკს აბრალებენ. რადგანაც თითქმის ყველანი ამას ამტკიცებენ და ბისმარკსაც ამისთანაები არ დაეფიცება, ეხლა საკითხავი ეს არის: რისთვის მოჰსურვებია ბისმარკს ამისთანა ნაპერწკალის გადაგდება იქით, საცა უამისოდაც ასაფეთქებლად გადებულია მშვიდობიანობა, თოფის წამლით გარშემორტყმული?

აქ ქურნალ-გაზეთობის აზრი ორნაირია: ერთნი ამბობენ, რომ ბისმარკი ეხლაც ისე მოიქცა, როგორც შვიდ-წლეულის სამხედრო კანონის გასინჯვის დროს პარლამენტშიო. მაშინ ბისმარკმა თავისი გაზეთები გაალაშქრა საფრანგეთზედ იმ აზრით, რომ გააბოროტოს საფრანგეთი, მეტი რამ ათქმევინოს, ან აქმნევინოს და გერმანელთ ანიშნოს, რომ აი ომის შიში საიდამ არის და ამის დასახვედრად შვიდწლეული სამხედრო კანონია უებარ ღონედ ცნობილიო. ამ მოხერხებულმა შიშმა თავისი ჰქმნა და რეიხსტაგში გერმანელთ იმისთანა კაცები ამოარჩევინა, რომ იგი სამხედრო კანონი ისე მიიღეს, როგორც ბისმარკსა ჰსურდა. ეხლაც ამისთანა გაჭირება დაადგა ბისმარკსა, რადგანაც 50 მილლიონი კიდევ მოსთხოვა რეიხსტაგს მარტო ჯარების გაძლიერებისათვის. ვაი თუ ამაზედაც უარი მითხრანო და ეს შნებელეს ამბავი განგებ გამოატყვრინა, რომ ქვეყანა და ნამეტნავად საფრანგეთი მკვახედ აალაპარაკოს, თუ ამოქმედოს და ამის გამო ომის ატეხაზედ მითითებით ხელახლად შეაშინოს გულუბრყვილო გერმანელნი. ქურნალ-გაზეთები, ამ აზრის მომხრენი, უმატებენ, რომ რაკი შნებელეს ამბის შემდეგ რეიხსტაგმა ეგ 50 მილლიონი კვლავ დაუმტკიცა ბისმარკსა, ეხლა, რასაკვირველია, ხერხიანი ბისმარკი ამ განსაცდელიან ამბავს ჩაათუჩეჩებს და, თუ გაჭირდა, ბოდიშსაც მოიხდის საფრანგეთისაგან და საქმე ამით გათავდებაო.

სხვა გაზეთები სხვას ამბობენ ამ შნებელეს ამბის გამო: ბისმარკს, ამათის სიტყვით, დღეს ომის ატეხა ემარჯვებაო. ღარიბი გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებს ამოდენა აუარებელს ხარჯს მხედრობისას, რასაც დღეს ეწევაო. ამიტომ ბისმარკს გული უცემს, რომ რაც შეიძლება მალე გამოიყვანოს გერმანია ამ გაჭირებისაგან და საქმე და ბედი ხმლის ტრიალზედ მიაგდოსო. ბისმარკმა ამასთან ძალიან კარგად იცის, რომ სისხლის ღვრას მთელი ევროპა ერიდება, როგორც უსამართლო და უღვთო საქმეს და ბისმარკს არა ჰსურს,—ამ უღვთო საქმის ბრალი თვითონ დაიდვას, ან გერმანიას დასდვას, რადგანაც ეს ბრალი ბისმარკსა და გერმანიაზედ გულსააყრევინებს ევროპასა. ამის გამო ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ საფრანგეთი გააბოროტოს და პირველად იმას ამოხდებინოს ხმალი და ბრალი სისხლის ღვრისა საფრანგეთს მოახვიოს კისერზედ ევროპის წინაშე. აი, ხსენებულ გაზეთების სიტყვით, სათავე შნებელეს საქმისა სად უნდა მოიძებნოს. მართალიც არის: თუ კაცს რომელისამე ერის გამწარება უნდა, ძნელად საფიქრებელია იმაზედ უმწვავესად გულში წყენის შუბის დაძგერება, როგორც შნებელეს ამბავია. აი რა საბუთით.

შვიდის დღის წინად, ვიდრე ეგ ამბავი მოხდებოდა, ბძანება მისულია გერმანელ პოლიციის გამოსარს გაუჩს, შნებელე დაიჭიროთ. როგორ დაეჭირა? შნებელე საფრანგეთის მოხელე კაცია, საფრანგეთის მიწა-წყალზედ ბინა აქვს. გაუჩს, ამბობენ, განგე გადუქცევინებია სამზღვრის ნიშანი ბოძი და დაუბარებია შნებელე—მოდი, ბოძი აღვადგინოთო. ამით გამოუტყუებია შნებელე, კაცები ჩასაფრებული ჰყოლია, თითონაც იქავ ყოფილა დამალული და მოსულა თუ არა შნებელე, დაუჭერიათ. გერმანელნი ამტკიცებენ, რომ გერმანიის მიწა-წყალზედ დავიჭირეთო და საფრანგეთი-კი ამბობს, ჩემს მიწა-წყალზეა დაჭერილიო. საცა უნდა იყოს დაჭერილი შნებელე, ყველა ამას აღიარებს, რომ ეს ამბავი მეტის-მეტი უმართებულოა და იგი სამართლიანი წყენა, რომელსაც საფრანგეთი დღეს უნდა ჰგრძნობდეს, შემძლებელია საფრანგეთს თავი გამოადებინოს იმოდენად, რომ თვითონ სამინისტრომაც თავი ვეღარ დაუჭიროს გამწარებულს და გულ-ამღვრეულს ერსაო.

თუ მართლა ეს შნებელეს ამბავი საპარლამენტო ხერხი იყო, ბისმარკი ისეთი ოსტატია, რომ ჩაათუჩეჩებს ამ საქმეს და საფრანგეთის ერის თავ-მოწონებას ყოველ გვარს კმაყოფილებას მისცემს,—დათუ არა, მაშინ-კი, თუ ატყდა რამე, არა გვგონია ამით თვალები აუხვიოს ვისმე და მიზეზი უწყალო ომისა თვითონ არ შეიქმნას ევროპის წინაშე. შნებელე დღეს განთავისუფლებულია, მაგრამ მარტო ეს არა კმარა, რომ საფრანგეთის ერმა ეს უმაგალითო კადნიერება ბისმარკისა ადვილად დაივიწყოს და სირცხვილი უკადრისობისა აიტანოს: სულ ცოტა რომ ვსთქვათ, საფრანგეთმა ბოდიშიც უნდა მოახდევინოს ბისმარკსა. ინებებს ამას ბისმარკი თუ არა? თუ ამაზედ დაჰჯვა საფრანგეთსა, ამგარაა ომის ატეხის სურვილი გულში არა სდებია, როცა გერმანიამ საფრანგეთს შნებელეს საქმე მახედ დაუგო.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 24 აპრილს, საღამოს 7½ საათზედ ტფილისის საქალაქო საბჭოში დანიშნულია საგანგებო კრება ხმოსანთა.

*** შაბათს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზედ ბ-ნი ნ. ზ. ცხვედაძე წაიკითხავს მეხუთე ლექციას პედაგოგიიდგან «მასწავლებელ ქალთა საზოგადოების» წევრთათვის.

*** 19 აპრილს ტფილისის რკინის გზის სადგურს ახლო შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა: მალაკნებმა გაჰმართეს ბურთაობა (игра въ лапти). 25-მდე მობურთალი კაცი იყო. ათამდე ახალგაზდა ქალებიც ერივნენ თამაშობაში. საუბედუროდ ამ თამაშობაში მონაწილეობა მიიღო შვიდიოდე იმერელმა ყმაწვილმა კაცმაცა. მოთამაშეთ რაღაზედაც ახირება მოუვიდათ. მალაკნებმა დაუშინეს იმერლებს კეტი და ქვა და თავ-პირი დაამტვრიეს. შეიდში ოთხი, როგორც იყო გაექცა მალაკნებს, მაგრამ დანარჩენს სამს მით უფრო დიდი ტანჯვა მიაყენეს: ამ საცოდავებს ჯერ კეტებითა სცემეს, მერმე ქოჩრით ათრიეს ტალახში. ერთს ორს ალაგას თავიც გაუტეხეს. ცხვირიდამ სისხლი თქრიალით გასდიოდა. ამ საწყალმა ამ ვაი-ვაგლახში დაჰკარგა ქუდი და ხუთი მანათი ფული. მეორესა და მესამესაც კეტებითა სცემეს ძალზედ, მერე შესდგნენ და ნალიანის წაღებით სცემდნენ წიხლს. ამ ჩხუბის დროს არავინ არ გამოჩნდა, რომ გაეშველებინა მოჩხუბარნი და დაეშოშმინებინა გამხეცებული ხალხი. ბოლოს გაჩნდა პოლიციელი და დაიმალნენ.

*** გურიიდამ გვწერენ: სოფ. ასკანაში კარგა ხანია სკოლა არსებობს.

## ფელეტონი

N-ს

ვით დაგატკბობს ჩემი მღერა
სულ მდაბალსა და ეულსა,
ვით მოარბილებს მომმესთვის
მაგ შენს გულს ლოდად ქცეულსა?

—

ვერ გაანედლებს გამხმარს ხეს
მჩქეფარე წყაროთ დენანი,
ვერ გაალვიძებს მკვდარს გრძნობებს
ციურთა ხმათა მღერანი.

—

მაგრამ სულ სხვაა უმანკო
ჩვილის გულისა თხრობანი,
სულ სხვაა ტანჯვა-ჩაგვრისგან
ნახტომ-შეშლილი გრძნობანი.

—

მათთვის იქნება ჩემი ხმა
ნუგეშ-იმედის მთხრობელად,
მათთვის იგზნების ეს გული
ბნელის გზის მანათობელად.

—

იქ ჩაინერგვის თითო ხმა
ახალის ცხოვრების თესლად,
შენთვის-კი—მხოლოდ იქნება
მარ-მწარედ, შხამად და გესლად.

ს. ნასარიძე

## ტფილისის ქალაქის ჯარში გასაყვანთა ამბავი.

ტფილისის მოქალაქე გახლავარ და ერთი ჩემი სიტყვა მოიხსენეთ. ამ ქამად მრთელი ჩვენი ქალაქის ხალხი ჯარის გაყვანის ამბავშია, დიდი და პატარა, დედ-მამანი და შვილნი იმის ზრუნვასა და ფიქრში არიან, როგორ გაიყვანენ ჯარში კაცებსა, ვინ ჩაუწერიათ ჯარის სიებში; ვინც შეცდომით ამ სიებში ჩავარდნილა, როგორ შეასწორონ შეცდომა? ამისთანა რამ ათასი გამოსაკითხია. ეს ამბავი, რასაკვირველია, მარტო ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისში კი არა, ყველგან ჩვენ მხარეშია. მაგრამ ტფილისს გარეთი ამბავი ჩვენ არ ვიცით და მარტო ტფილისის ამბავი მოგვყავს. მე ამის დამწერმა მარტო ჩვენის ქალაქის ამბავი ვიცი და იმის ამბავს მოგახსენებთ. სხვამ, ქალაქ გარეთის კაცმა, თავისი თქვას. ყველამ თავისი ნაღველი სთქვას და სხვებს გააგებინოს, რომ რაც გასასწორებელია, ეხლა იქნება თუ საკვლავიოდ, გასწორდეს.

ახლა თქვენ ჩემი ბატონი ბრძანდებით, ამბავი მოიხსენიეთ. ეს ხომ ცხადია, რომ რაკი ჩვენში ჯარის ბეგარა შემოვიდა და მთავრობამ ინება ეს საქმე, ახლა ყველას ვალია, ვისაც მთავრობის ნების ასრულება მინდობილი აქვს, კარგად აასრულოს ეს საქმე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. მართალი კაცი არ წახდეს, ტყუილი კაცი თავის ოინბაზობით და ყალთაბანდობით არ გამოძვრეს; მართალი არ დაიჩაგროს და ტყუილმა მართალს თავზე კაკალი არ დაამტვრიოს.

ახლა იმას მოგახსენებ. ვინც ამ ჯარში გაყვანის საქმეშია, თვალი უნდა გაახილოს, კარგი სიფრთხილე იხმაროს. აქ, ჩვენს ტფილისის ქალაქში ქალაქის საბჭო და გამგეობა არის ამის პატრონი. იმისი ვალია ხალხს კარგა გააგებინოს და აცოდინოს ეს ახალი საქმე. ახალი საქმეო იმიტომ ვამბობთ, რომ ძველებურის მილიციის საქმე სხვა იყო, ეს ახალი ჯარის ბეგრის საქმე სხვაა; სხვა კანონია, სხვა წესია. თუ ეს ახალი საქმე კარგა არ შევიტყეთ, ბევრი ცოდვა-მადლი მოხდება და ბრალი ქალაქის პატრონებს დაედება. ეს ხომ ასეა.

აბა ერთი ახლა ენახოთ ჩვენმა ქალაქის პატრონებმა, „დუმამა“ და „უპრავამ“ რა გააკეთეს. აპრილის დამდეგს ქალაქის ქუჩებში რუსულად გამოაცხადეს, რომ ეს ჯარის ბეგრის საქმე ჩვენშიაც შემოვიდა მთავრობის ნებითაო და აპრილის პირველიდამ აპრილის თხუთმეტამდინ ქალაქის „უპრავაში“ სიები იქნება ჩამოკიდებულიო. ვინც შეცდომით ჩაუწერიათ ამ სიებში, მოვიდნენ, გამოაცხადონ და საბუთები მოიტანონო. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ვინ წაიკითხა ეს პატიოსანი განცხადება?

იმან წაიკითხა, ვინც რუსული იცოდა. ჩვენი ქალაქის ხალხი, ჰამქრისა იყო, ხელოსანი იყო, თუ მუშა ხალხი, გაივლიდა ამ განცხადების ახლოს, გამოივლიდა, უყურებდა და ასე ეგონა, ან ვაჭრის კაცის განცხადებააო, ან თეატრისაო; არც ვისმესა ჰკითხავდა, არც კითხვა შეეძლო. აბა რა ჰქმნას ანაბანის კაცმა, ვისაც რუსის სკოლები არ გამოუვლია; თუ იცის ერთი ქართული ანაბანა: ან—ერთი ფული, ენ—ორი ფული, ინ—ორი ბისტი,—რა უყოს და რა წყალში ჩაავარდეს?

გაიარა ორიოდე დღემ. აღდგომა დღეს კიდევ განცხადება გამოჩნდა ქუჩებში, მაგრამ ნახე კიდევ ჩემისთანის ანბანის კაცის ბედი. სომხურად იყო ეს განცხადება. გაიარა ხალხმა და გამოიარა, მაგრამ არაფრისთანა ამბავი არავის არ ესმოდა. თითოოროლა ყარაბაღელმა თუ ერევნელმა წაიკითხა, აბა იმათ რა დავა ჰქონდათ ჩვენის ქალაქის «უპრავასთან» ან „დუმასთან“, რომ მისულიყვნენ.

აღდგომის ერთმა კვირამ გაიარა თითქმის და მარტო კვირაცხოვლის წინა დღეს, შაბათს, აპრილის თერთმეტს, გამოჩნდა განცხადება ქუჩებში ქართულ ენაზედ, ასე და ასეო. ეს იყო პირველი დღე, რომ ქალაქის მუშა ხელოსანმა და ამქრის კაცმა გაიგო, რაც ამბავია. საცა განცხადება ეკრა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა და კითხულობდა. მერე დასტა-დასტა მირბოდა ქალაქის „უპრავაში“, შოულობდა ამ განცხადებასა. ისეთი ამბავი იყო ამ დღეს უპრავის შესავალში, რომ ასე გეგონებოდათ, ყმაწვილების ყურთა-გლეჯააო, ისე იტაცებდნენ განცხადებას. ასე გასინჯეთ, წინა დღეებში რომ არც რუსულს და არც სომხურს გა-

წელს სოფელმა მოინდომა ძველის სკოლის შენობის გარდაკეთება; ამ საქმისთვის შეჰკრიბეს სოფელში ათას ხამასი მანეთი (1.300 მან.). ამ ფულით აქ მშვენიერის გეგმის სკოლა გაკეთდება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სოფელი გაჰრიგებია ერთს კერძო კაცს ამ საქმის თაობაზე და უთხოვნია, ხიდის თავის სკოლის გეგმაზე აგვიშენე სკოლაო. ის სკოლაკი ყოვლად უვარგისის გეგმისაა როგორც ბაშვებისათვის, ისე მასწავლებლისათვის; ვერც კაი ადგილი ამოურჩევიათ სკოლის შენობისათვის. საჭიროა, რომ გეგმას შესცვლიდნენ და აგრეთვე სკოლის შენობას დააშორებდნენ დუქნებს და კანცელარიას, რომელთ შუაც უნდათ ააშენონ სკოლა აქაურებსა.

*** დიდს გაჭირებაშია ამ ჟამად მტკვრისა და ლიახვის ადიდების გამო რამდენიმე სოფელი ქართლისა. ეს სოფლები თითქმის 40-მდე იქნება. მცხოვრებელნი სრულიად მოსწყდნენ დანარჩენს ქვეყანას. ზამთარმა რაც საქმე დაგვმართა, შეგვიკრა გზები და დაგვამწყვდია სახლებში, იმას ახლა დიდი-წყლობა შვრებაო. ვერც გორისკენ წავსულვართ, რადგან ლიახვი ადიდებულია, ვერც რკინის გზის სადგურისკენ გავსულვართ მტკვარშიო. სკრის ხიდი სრულიად დაინგრა და დღე-დღეზედ ჩაიქცევა ერთიანად; ბორანი ქარელთანა და დეგოთთან მოიტაცა წყალმა; გომისკენაც ვერ წავსულვართ: ფცის წყალი ისეთი ადიდებულია, რომ არე-მარე თან მოაქვსო. ამ სახით თითქმის 40-ზე მეტი სოფელი გზა-შეკრულია და მცხოვრებელნი ვერც აქეთ წასულან, ვერც იქით: სხედან და ელიან, რომ წყლებმა იკლონ და ამოდენა ხალხს გზა გაეხსნასო.

*** ცხენის-წყალი ძრიელ ადიდებულა წელს. წარსულს ზამთარს დიდი თოვლი იყო აქეთკენ მთებში და ამის გამო, ვგონებთ, ამ წყალმა მალე არ იკლოსო. ცხენის წყალი ისე გაგიჟდა, რომ გადავიდა ნაპირებიდამ და ლამის გზა მდინარეობისა შეიცვალოსო.

*** «St.-Peters. Zeit.»-ი ამბობს, რომ შარშან საქართველოში იყო საფრანგეთის ინჟინერი ბულანჟიე, გასინჯა იქაური რკინის გზა და ამ საგანზედ ვრცელი მოხსენება წარუდგინა საფრანგეთის გზათა სამინისტროსაო.

*** გაზ. „Свѣтъ“-ი ამბობს, რომ ბაქოში მივიდა თავის კუნძულიდამ ჰოლანდიელი ვანლოონი და უნდა ვაჭრობა დაიწყოს ზემოხსენებულს კუნძულზე ბაქოს ნავთითაო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის წარუდგენია სტავროპოლის გუბერნატორს მოხსენება იმის თაობაზედ, რომ პრასკოვეიაში, სადაც ბევრია თურმე ვენახები, ღვინის კეთებისა და დაყენების სკოლა გაიმართოსო. სამინისტრო ამ ჟამად ამ პროექტის განხილვაშიაო.

*** ამ ჟამად მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ხარჯი დაადოს უძრავ საქალაქო ქონებას. ამ აზრით დააფასეს ჩვენშიაც ყველა ქალაქის უძრავი მამულები და აღმოჩნდა, რომ ტფილისის ქალაქში სულ 32,748,666 მან. უძრავი მამულია, დუშეთში-240,000 მან., თელავში—333,904 მან., სიღნაღში 346,000 მან., გორში—197,270 მან., ახალციხეში — 127,360 მ., ახალქალაქში—140,496 მან., კოჯორში—300,000 მან. ყუბანის მაზრის ქალაქებში—639,340 მან. ქუთაისის გუბერნიის ქალაქებში—6,734,725 მან. (ამ რიცხვში ბათუმის მამულები დაფასებულია 926,533 მან. და ფოთში — 1,257,800 მან.), განჯის გუბერნიაში—2,847,000 მან. ბაქოსაში—7,765,511 მან., ერევნისაში—7,188,319 მან., ზაქათალის მაზრაში—239,000 მან. სულ თითქმის 74 მილლიონამდე მანათისა.

*** ახალციხიდამ სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“-ას, რომ აქეთ დიდი წვიმებიაო. მიწა ისე სველია, რომ ხალხი ვერ გასულა მინდვრად სამუშაოდაო. კორრესპონდენტი ჩივის აგრეთვე, რომ ძალიან გახშირდა დავა მამულების თაობაზეო. დიდი ჩხუბი და ვაი-ვაგლახი ხდება ამ ამბის გამო.

არა თუ ადმინისტრაცია, სასამართლოც-კი ვერა ჰშველის საქმესაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ სიღნაღის მაზრიდამ: აქეთ ძალიან გაფუჭებულია გზები. ყველგან დაძველებულა ხიდები, ხრამები და ღრანტეები ისეთია, რომ ყოველს წუთს უნდა გეშინოდეს და მეტადრე ღამე, რომ არსად არ გადაიჩეხო ეტლიან-ურმიანათაო.

*** არდანუჯიდამ სწერენ გაზეთს «Нор-дарь»: აქ ერთი დედა-კაცია, რომელიც 130 წლისა იქნებაო. თუმცა ასე ღრმად მოხუცებულია ეს დედა-კაცი, მაინც ძალიან მხნეა: ყოველ დღე ეკკლესიაში დაიარება. ამ დედა-კაცს ხუთი შვილი ჰყავს, ოთხი ქალი და 39 შვილის-შვილიო.

*** გაზ. „კავკაზში“ აცხადებს «მასწავლებელ ქალთა საზოგადოება», რომ ვისაც ჰსურს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს ამ საზოგადოების კანტორაში (ველიამინოვის ქუჩა, სახლი ამატუნისა) ადრესი მასწავლებელ და გუვერნანტის ქალებისაო.

*** გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ 16 აპრილს სახელმწიფო საბჭოს უნდა განეხილა სხვათა-შორის ფინანსთა სამინისტროს კანონპროექტი იმის თაობაზედ, რომ წესსა და რიგში იქმნას მოყვანილი ღვინის წარმოებისა და არაყის ხდის საქმე და საზოგადოდ ღვინის კეთების გაძლიერების საქმე კავკასიაში.

## სია შემწირველთა

წიფასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლშვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

შეგროვილი სოფ. რუისში

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ანნა მამაცაშვილისა . . | 2 | » |
| ამირინდო ბაგრატიონ-დავითიშვილი . . . . | 2 | „ |
| ეკატ. ბაგრატიონ-დავითიშვილისა . . . . . | 1 | „ |
| ნინო მამაცაშვილისა . . | 1 | „ |
| ანნა მამაცაშვილისა . . | 1 | „ |
| მარიამ მამაცაშვილისა. . | 1 | „ |
| ალექსანდრე მამაცაშვილი | 1 | „ |
| დიმიტრი დეკანოზიშვილი | 1 | „ |
| სოფიო დეკანოზიშვილისა | 1 | „ |
| დარია დეკანოზიშვილისა . | 1 | „ |
| ოლ. დეკანოზიშვილისა . | 1 | „ |
| სიდონია დეკანოზიშვილისა | „ | 50 |
| მალხაზ ფანიაშვილი . . | 1 | „ |
| მათიკო ფანიაშვილისა. . | 1 | „ |
| სალომე ტერ-არუთინოვისა | 1 | „ |
| ეფემია ინაშვილისა. . . | „ | 50 |
| ბლაღოჩინი იოანე ინაშვილი . . . . . . . | „ | 50 |
| ანნა გვარამაძისა . . . | „ | 50 |
| დავით კლიმიაშვილი . . | „ | 50 |
| სიდონია კლიმიაშვილისა . | „ | 50 |
| ნიკო კლიმიაშვილი . . | 1 | „ |
| დიმიტრი დაფქვიაშვილი . | „ | 50 |
| დიმიტრი დავითიშვილი . | 1 | „ |
| ნიკო საძაგლიშვილი . . | 1 | „ |
| ოლ. ზაალიშვილისა . . | „ | 40 |
| სულ . . | 22 | 90 |
| წინად იყო . . . . . . | 80 | 20 |
| სულ . . | 103 | 10 |

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ლანჩხუთი**, 23 მარტს. ლანჩხუთი გახლავთ ერთი პატარა დაბა, წმინდად და ლამაზად შენახული. თვითონ ბაზარს შეადგენს სამოციოდე დუქანი; ამათში უმეტესი ნაწილი ქვისაა. ქუჩები ფართო და სუფთებია. სიწმინდის მხრით ჩვენში ზოგი მაზრის ქალაქები რომ ლანჩხუთსა ჰგვანდნენ, კარგი იქნებოდა; ლანჩხუთელებს ამ ცოტა ხანში აუგიათ ისეთი მშვენიერი თლილის ქვის ეკკლესია, მშვენიერი ყოველისფრით, რომ არსად იმერეთის მაზრის ქალაქებში, გარდა ოზურგეთისა, სადაც კი ვყოფილვარ, არ არის. აქვთ სკოლა, რომელიც ისეა გავსილი შეგირდებით რომ საჭიროდ დაუნახავთ მეორე მასწავლებლის მოწვევაცა. ცხოვრობს აქ პოლიციის ბოქაული, ტყის მცველი მოხელე, ფოტოგრაფი, ამ თთვეში იხსნება აფთიაქი და, რაც ასე სასიამოვნოა და საჭირო, ორას საჟენზედ გახლავთ რკინის გზის სადგური, რომლის გაკეთებისათვის არ დაუზოგავთ არავითარი საშუალება. მნიშვნელობა ლანჩხუთისა გარეშემო მდებარე სოფლებისათვის, როგორც სავაჭრო ადგილისა, ისეთივეა, როგორიც ოზურგეთისა და ძველის სენაკისა. აქ იშოვით ყოველ ნაირ ხორავს, მანუფაქტურის საქონელს და სხვა-და-სხვასა საწერილმანოს; აქ ჰნახავთ ლამაზ გურულ ქალების ხელში გასაყიდად გამოტანილს ისეთს მშვენიერ ნახელავს, თუ დარაიებს და თუ აბრეშუმის წამოსასხამებს, თავ-საფრებს, ქისებს, ყაბალახებს და აბრეშუმ ნარევ შალებს და სხვა, რომ ვერ დაიჯერებთ, თუ ესენი მართლა მათი ნახელავია და მათის ხელის ნამოქმედარი. დღეს ვნახე ერთის გასათხოვარის ქალის ხელში საუცხოვო ნახელავი სათუთუნე ქისა მოქსოვილი ხელოვნურად, რომელიც თითონვე მოექსოვა თავის საკუთარის თმისაგან. არა ერთხელ გამიგონია რკინის გზით გამვლელ ევროპიელ მოგზაურებისაგან, ამათის ნახელავების ნახვით გაკვირვებულებისაგან: „Видно грузины не шутятъ съ своимъ культурнымъ значеніемъ. Кто повѣритъ у насъ, что здѣсь кустарная промышленность стоитъ на такой высокой степени развитія?“

დავუბრუნდეთ ისევ ლანჩხუთელებს: ერთს საქმეში წინ გაუსწრიათ ოზურგელებისათვის და ძველ სენაკელებისათვის. ამ საქმეში ამათ პირ-და-პირ ევროპიელების მაგალითით უხელმძღვანელნიათ. ფარჩეულის და სხვა-და-სხვა საქონლის მაღაზიებში აქ მამა-კაცების მაგივრად დედა-კაცები დახლიდრობენ. შედიხართ მაღაზიაში, და იქ ისე წესსა და რიგზეა ყველაფერი, რომ მაშინვე იტყვით, აქ ქალის ხელი მუშაობს უთუოდაო. შედიხართ და ისეთის ზრდილობიან ალერსით, ისეთის სიკეკლუცით დაგიხვდებათ ეშხიანი გურული ქალი, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრი ცოდვილი მამა-კაცი შაურის ნემსების საყიდლად მისული თუმნის ნავაჭრით დატვირთული გამოვა იქიდამ. მშვენიერის სქესის სილამაზით ხომ უხვად დაუჯილდოებია ღმერთს ეს სოფელი. ვერა ჰნახავთ საქართველოში კუთხეს, სადაც ერთს სოფელში ამდენნი ლამაზი ქალები იყვნენ; თითქო განგებ მოუგროვებიათ აქ ისინი ვისმესაო. ვისაც გაუგონია ქართველის ქალების სილამაზის ქება და უნდა დარწმუნდეს,

---

ნცხადებას თხოულობდნენ, ამ ხალხის მიხედვით, ქართულის გამოჩენის შემდეგ, ქართულის ენის უცოდინარებმაც დაიწყეს თავიანთ ენაზე დაბეჭდილ განცხადების თხოვნა.

ქართული განცხადება ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ; ვისაც ეშოვნა, კითხულობდნენ და ვისაც არ ეშოვნა, იხვეწებოდნენ, მოგვყიდეთო და ყიდულობდნენ თითო შაურად; ზოგი ჰკითხავდა განცხადების ფურცლის მშოვნელს, სად დაუბეჭდიათ, წავალთ, იქ ვიყიდითო. დილაზე ხალხი მიატყდა თურმე ხელაძის სტამბას, განცხადება მოგვყიდეო, ფულს იძლეოდნენ, მაგრამ გულ-მოსულები ცარიელები ბრუნდებოდნენ და ქალაქის „უპრავაში“ მიეშურებოდნენ. ამისთანა ამბავი იყო, ჩემო ბატონებო, მხოლოდ ქართულის განცხადების შემდეგ.

მაგრამ განცხადება რო წაიკითხა ხალხმა, ერთი ხათაბალა გამოჩნდა: აპრილის თერთმეტი იყო, შაფათი დღე, მეორე დღეს კვირა და რჩებოდა თხუთმეტამდინ სამი დღე. სამ დღეში აბა რა შეეტყო ხალხსა, რა მოეხერხებინა, როგორ გაეგო ყველაფერი და ეშველა საშველისათვის? ხალხი მივიდა და ქალაქის „უპრავაში“, შევიტყოთ სიებში ვინა სწერიაო? მაგრამ თქვენს მტერს, რაც იქ ამბავი იყო. ხალხით გაჭედილი იყო, გზას ვერ იპოვიდი, კედლებზე გაკრულ სიების ფურცელთან მისულიყავი, ბოლოს ვინც მივიდა, ათასში ერთმა ძლივს მოახერხა წაკითხვა. რათა? და მათა, რომ რუსულად იყო დაწერილი. „უპრავას“ იმდენი ფიქრი არ ეხმარა, რომ ეს სიები ქართულადა და სომხურადაც დაეწერინებინა. ხალხი ჩიოდა, ტიროდა, ხან ერთს ეხვეწებოდა, ერთი ნახეთ ჩემი შვილი ჩაწერილია, თუ არაო? კიდევ კარგი თუ ვინმე კარგი რუსულის წიგნის მცოდნე ხვდებოდა. ხათაბალა ის იყო, რომ კარგი მცოდნეც ცოტა იყო; ან ამ ადგილას რა საქმე ექნებოდა, კარგი მცოდნეები ყველა თავის საქმეზე მიდიოდა. უხეირო მცოდნე ბაბა-ბუბუთი ძლივს ასოებსა სთვლიდა და ვეებერთელა სიას როდის წაიკითხავდა. ან თუ როგორმე კითხულობდა, ბევრჯელ სახელსა და გვარს ისე გადააბრუნებდა, რომ ნამდვილს ვერ შეიტყობდა. ასე ერთმა ჩასთვალა სიაში „მალხაზ ტოპურია“ და გვერდით მდგომს მახვეწარს წაუკითხა „მახლასოვ თოფრა“ სწერიაო; ბაბალოვის მაგიერ—ბიბილუა; საკოვის მაგიერ—ისკანოვი. მერე კიდევ, ვინ არჩევდა, კარგს მკითხველსა და ავსა? ამ სიების კითხვის დალალებიცკი გამოჩნდნენ, „ატვაკანტების“ სახელი რომა აქვთ და ხუთ გროშად, თითო შაურად კითხულობდნენ თავის ცოდვა-მადლიან რუსულის ცოდნით. სიის წაკითხვა შემოსავლის საქმედ გახდა.

ეს დალოცვილი „უპრავა“ რას ჰფიქრობს, ან «დუმა» რატო არაფერს რიგს არ აძლევს. თუ ჩვენის ქალაქის პატრონები არიან, განა არ იციან, რომ ხალხს უნდა გააგებინონ, რაც საჭიროა? განა მთარგმნელი არავინა ჰყავთ უპრავაში? აქამდინ როგორ არ იციან, რომ ქალაქში ამოდენა ხალხია, ქართულის მეტი არ იცის, რატო ქართულად არ აცხადებენ? მერე რასაც აცხადებს, რატო ადრევე თავის დროზე არ აცხადებს, რომ ყველამ თადარიგი ნახოს. განა ამისთანა საქმე შეიძლება?

ეს საქმე დიდი საქმეა ჩვენთვის და შეცდომის აცდენა თუ უნდა ქალაქსა, ყველა ისე უნდა მოაგვაროს, რომ მართლა შეცდომა არ მოხდეს. საქმე ის ხომ არ არის, ერთი ქაღალდი დასწერონ და თავიდამ მოიშორონ საჩქაროთა, რომ სთქვან გავათავეთ, მოვრჩითო. განა ქალაქის პატრონები ბრმები არიან და აქვე ახლოს არა ხედვენ, რომ ქალაქში ათი-ათასობით ხალხია და არც რუსული წიგნი იცის, არც ლაპარაკი. რა ქნას ამ ხალხმა? აქაც დალალ-ადვაკატებს უნდა დაუწყოს ძებნა? ესეც გახდა არზის მიცემა. თითო არზის წერაში თითო აბაზიდამ თითო თუმნამდის უჯდება არზის პატრონსა, რომ რუსულად დააწერინოს. განა ქალაქის „უპრავას“ არ შეუძლიან, რომ ვისაც რა ენაზე უნდა, იმ ენაზე დასწერონ? ჩვენში გუბერნატორები და „უეზდის“ ნაჩალნიკები ქართულ არზებს იღებენ და ქალაქმა რატო არ უნდა მიიღოს. აბა იფიქრეთ რა შეღავათი იქნება. დაჯდება ანაბანის კაცი და მოკლედ დასწერს თითონვე თავის საჩივარს და სათხოვარს. აღარც ხარჯი, აღარც ბორჯი.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დროა ქალაქის პატრონებმა შეიტყონ, რაც საჭიროა და ისე გაარიგონ, როგორც ადგილი მოითხოვს. ნათქვამია, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი აიჭერსო.

თუ მტყუანი ვართ, მაშ ქალაქმა რაღათ შესცვალა ვადა: რო ნახა თხუთმეტ აპრილამდინ საქმე ვერ გათავდებოდა და ხალხს გაუჭირდებოდა საბუთების შოვნა და მიტანა, ვადა შესცვალა ოც-და-ხუთ აპრილამდის. მაგრამ რა გამოვიდა? წვალება ისევ წვალებად დარჩა. სიები ისევ მარტო რუსულ ენაზეა. ამბობდნენ, „უპრავასთვის“ უთქვამთ, სიები ქართულად და სომხურადაც სთარგმნეთო, სომხურ გაზეთშიაც დაუწერიათ, მაგრამ აი დღეს აპრილის ოც-და-ერთია და სიები არც ქართულად არის, არც სომხურად.

ყველაფერს იფიქრებდა კაცი და ქალაქის პატრონებისაგან—«უპრავისა» და „დუმისაგან“ კი ამას არ მოველოდით. „დუმაში“ ხომ სხედან ჩვენი ქართველებიც, სომხებიც, რას ჰფიქრობენ? „უპრავისა“ ხომ არ ეშინიანთ; ან იქნება „დუმას“ არა სურს და „უპრავა“ ერიდება ამათ შერისხვასა?

ღმერთო დაგვიხსენ გაუგებარ ხალხისაგან! ნეტავი ვიცოდე ქუთაისის და გორის „უპრავა“ და «დუმაც» ასე ირჯება?

ტფილისის ერთი მოქალაქე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მართალია, ლანჩხუთში უნდა მობძანდეს.

სამწუხაროდ ჩემდა, საამო ამბები სამწუხარო ამბებით უნდა დავაბოლოო. ხანჯლების და ხმლების ტრიალი, დასახიჩრება ერთმანერთისა და ხშირად სიკვდილიც აქ იშვიათი შემთხვევა არ არის, მაგრამ ის რაც მოხდა ამ ორის კვირის წინად, აღარაფერს ადამიანურს აღარა ჰგავს: ცოტა მოშორებით ლანჩხუთზედ მდებარეობს უშველებელი ტყე, სივრცით, როგორც დამარწმუნეს, ორმოც ათას დესიატინამდე; ეს ტყე უწევს აქედან თითქმის ფოთამდის. ამ ტყით დღემდე სარგებლობდნენ ყველანი, ვისაც უნდოდა, როგორც გურიელები, აგრეთვე მათი აზნაურები ქყონიები და ამათივე გლეხებიცა. ყველანი სარგებლობდნენ და ერთმანერთს არავინ უშლიდა. მაინც-და-მაინც რადგან ტყეს ფასი, და გასავალი არა ჰქონდა, საკუთარის საჭიროებისათვის ყველა ხომ ჰხარჯავდა და იყენებდა. დღეს რა კი ტყეს ფასი დაედო, მყიდველები იშოვება და ტყის მეპატრონეთ იქნება მილლიონის სარგებლობაც ჰნახონ, და ამიტომ ყველა დასაკუთრებას ცდილობს ამ ტყისას. ეს გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ ორის კვირის წინად საცილობელის ტყის მამულისათვის საჩხუბრად გამოვიდნენ შეთოფ-იარაღებული ერთის მხრით ოთხასამდე გლეხები, გურიელების მხრით, და ას ორმოც-და-ათამდე ქყონიები მეორეს მხრით, როგორც დამსწრეთ დამარწმუნეს, და ასტეხეს საშინელი სროლა, რომლის მსხვერპლად საუბედუროდ შეიქნა მარტო ერთი მძიმედ დაჭრილი წვრილშვილის პატრონი ქყონია. როგორც მითხრეს, ამ ქყონიას ოთხი ტყვია აქვს მოხვედრილიო, ორი უკვე ამოულიათ და იმედოვნებენ, რომ მორჩებაო. მოვიდა მაზრის მმართველი საქმის გამოსაძიებლად და იმის შემდეგ გუბერნიის სამმართველოს წევრი გერარდი.

აი, მკითხველო, კიდევ ერთი სამწუხარო შედეგი ადგილ-მამულის დროით გაუმიჯნველობისა.

ილ. ჭიჭინაძე

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს დროს ხშირად გაისმის ჩივილი და წუწუნი, რომ თავად-აზნაურობას მიწა-წყალი ერთმევა და სხვის ხელში გადადისო. ბევრი იყო ამის გამო ლაპარაკი, წერითაც ბევრი დაიწერა, თვით მთავრობამაც კი ყურადღება მიაქცია ამ საქმესა. მაგრამ, ეტყობა ეს ისეთი სენია, რომლისათვის ჯერ ვერა წამალს შვება ვერ მიუცია. აი გაზეთი «Свѣтъ» დღესაც რას ამბობს:

> წლითი-წლამდე თავად-აზნაურობის მამულები სულ ისყიდება და ისყიდება, და რაც უფრო მეტი დრო გადის, იმდენად თავად-აზნაურობა მამულზე ხელ-ცარიელი რჩება. თითქმის ვერა ჰნახავთ ისეთს გუბერნიას, სადაც სულ ამაზედ არა სჩიოდნენ და ლაპარაკობდნენ.

უბედურებაც ეს არის, რომ თავად-აზნაურობა მარტო ლაპარაკობს და შესჩივის ყველას თავის მდგომარეობას, თითქოს ისეთი ხელუპყრელნი გახდნენ, რომ თუ სხვამ არ უშველა, ხელით არ ატარა, თითონ თავის თავს ვეღარას უშველიან. თუმცა სამწუხაროა, მაგრამ ასე კია საქმე.

> სამწუხარო ის არისო, — ამბობს იგივე გაზეთი, რომ თავად-აზნაურობა ზნეობითაც და სულითაც დაეცა, თორემ ნივთიერად ხომ უკან წასულია და წასულიო. პროვინციაში ეს კიდევ ისე თვალ-საჩინოდ არ არის, როგორც სატახტო ქალაქებში, — აქ თავად-აზნაურობა იმით-ღა იდგამს სულსა, თუ სამსახური ელირსა და კარგად წავიდა ამის საქმეო.
>
> საყურადღებო აი რა არის კიდევა: სა-ადგილ-მამულო ბანკებმა, რომელნიც მარტო თავად-აზნაურთა ხელის გასამართავად იყვნენ გამართულნი, არამც თუ არაფერი შველა არ მისცეს, არამედ უფრო ხელი შეუწყეს, რომ თავად-აზნაურობას მალე ხელიდგან გამოეცალოდ მამულ-დედული. გლეხებისათვის გამართული სა-ადგილ-მამულო ბანკებიც თითქოს იმისთვის დაარსდა, რომ თავად-აზნაურებს რაც შეიძლება მალე და ადვილად გაეყიდოთ მამულებიო.

რახან ასეა და თავად-აზნაურობა მართლა ისე დაუძლურდა, რომ თავის მამულისთვის თითონ ვეღარ მოუვლია, ან არ უნდა მოუაროს, სჯობს ისევ გლეხის ხელში გადავიდეს, ვიდრე სხვა უცხო მოსულს კაცს ვისმე დარჩეს: — გლეხს უყვარს კიდეც მამული, და არც ჯაფასა და მუშაობასა ჰზოგავს მამულის განსაკარგებლად, რამდენადაც კი ძალ-ღონე მიუწვდება.

* * *

გაზეთ «С. Петербургскія Вѣдомости»-ს მკითხაობისთვის თავი დაუნებებია და ახლა მისნობისთვის მიუყვია ხელი. გაზეთი პირ-და-პირ ამბობს:

> დღევანდელი დღე დიდი გაჭირების დღეა შუა-გულ ევროპისთვის, დღეს უნდა გადასწყდეს, ევროპიის ისტორია ასეთს მიმართულებას მიიღებს, თუ ისეთსაო.

ამას ამბობს გაზეთი 17 აპრილსა, და აი დღესაც არ დამდგარა ის საშინელი «გაჭირების დღე», დეპეშას ჩვენთვის ისეთი დიდი ამბავი არა შეუტყობინებია რა, რომ მართლა ვსთქვათ, — ევროპაში რაღაც დიდი ცვლილება მოხდაო... ვერაფერი შორს-მჭვრეტელი ყოფილა გაზეთი და ურჩევნია, მისნობას თავი დაანებოს...

## საზამთრო გზები სვანეთში

ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთს, რომლის საზამთრო გზებსაც ამ წერილში გავაცნობთ მკითხველებს, ჩრდილოეთით უძევს კავკასიონის დიდი ქედი. ამ ქედზე ზაფხულობით ოთხს ადგილას გადის გზა ჩრდილოეთ კავკასიაში: მულახის საზოგადოებიდგან (თავისუფალ სვანეთშია), ჩეგემის (თერგის ქვეყანაში) საზოგადოებაში, მესტიიდგან, ბეჩოდგან და ჩუბეხევიდგან ბახსანის ან ურუსბიევის საზოგადოებაში (ყუბანის ქვეყანაში). პირველის სექტემბრიდგან ამ ქედზე რიგით თოვლი უნდა მოვიდეს და ამისათვის 15 სექტემბრიდგან, იშვიათის შემთხვევის გარდა, ადამიანის მისვლა-მოსვლა ისპობა მომავალის წლის 15 ივლისამდე. ამ სახით ჩრდილოეთის მხრით სვანეთის საზამთრო გზები გამოუყენებელია.

სამხრეთით სვანეთს ჩამოსდევს ესრედ წოდებული სვანეთის ქედი, რომელიც განზიდულია სამეგრელოს დავაკებამდე. ამ ქედზე, სახელდობრ ლატფარის უღელტეხილზე, მიდის საზაფხულო საცხენო გზა. 15 სექტემბრიდგან 15 ივლისამდე ამ უღელ-ტეხილზედაც თუ არ ისპობა, ძლიერ ძნელდება სიარული: ან თოვლი მოდის და მაშინ ნამდვილად ზვავის შიშია, ან არა და გზა იყინება და ცხენს ფეხის მოკიდება უჭირს. ქვეითის კაცის სასიარულოდ კი ეს მთა მგზავრს ხელს არ აძლევს, რადგანაც სხვებთან შედარებით გრძელი გზაა. დაგვრჩა სვანეთიდგან გამოსასვლელ გზებად ენგურის წყლის ჩამოყოლება ლენხერა-სამეგრელოსკენ, ენგურის სათავედგან ცხენის წყლის ხეობაზე სადადიანო სვანეთისკენ და მუშურის უღელტეხილი, რომელზედაც წარსულს თებერვალს ზვავმა ცხრა მგზავრი იმსხვერპლა.

შევადაროთ ეს გზები და ვნახოთ, რომელი უფრო მარჯვეა და მოხერხებული. ავიღოთ შუა-გული საზოგადოება ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთისა—მესტია. ვთქვათ, სვანეთიდგან კაცი ქუთაისს უნდა ჩავიდეს. მესტიიდგან გამოსულმა მგზავრმა უნდა გაიაროს ქვემო სვანეთი: ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეცერი, ფარი და ლახამულა, რომლის შემდეგაც იწყობა ესრედ წოდებული „ლენხერა“ სამეგრელომდე; სამეგრელოდამ მგზავრმა უნდა აუხვიოს და ქუთაისს მოვიდეს. ხსენებულის გზის გავლას ქვეითი კაცი უნდება რვა დღეს; ამ რვა დღეში 2—3 ღამე ცის ქვეშ უნდა გაატაროს ლენხერაში. ამ გზაზე ზვავის შიში არ არის; მხოლოდ გზა, ან უკედ ვთქვათ, ბილიკი ვიწროა და გამოდრეცფნული თოვლი ან ფეხებ ქვეშ უმტყუნებს მგზავრს და ან ზემოდამ დაეცემა თავზე და ორივე შემთხვევაში-კი მგზავრი დაიღუპება. როდესაც ამ გზაზე დიდი თოვლი ძევს, საჭიროა 8—10 მგზავრმა ერთად მოიყაროს თავი, რომ თოვლის გაკვალევაში ერთი მეორეს ენაცვლებოდეს. ამ გზაზე სიარული სვანებს არ უყვართ და თავისუფალ სვანეთიდგან ასში ერთი თუ წავა, რადგანაც ერიდებიან ლენხერაში ღამის თევასა და მეგრელებსაც არაფრად უქებენ მგზავრის მიღება-პატივსა; ხოლო ეს მიღება და პატივი ზურგით საგძლის მიმქონ მგზავრ სვანისათვის დიდი რამ არის. ამ გზაზე მოღრუბლული დღე ვერ დააკავებს მგზავრ-სვანს. მესტიიდამ იგივე მგზავრი ენგურის სათავედამ ქუთაისს მიმავალი გაივლის ზემო სვანეთის შემდეგს სხვა-და-სხვა საზოგადოებას: მულახს, იფარს, კალას და უშგულს. უშგულიდამ შეხვდება „ნაკ-ზაგარის“ უღელტეხილი, რომელიც შეუძლევა ცხენის წყლის ხეობაში. მანძილი ნაკზაგარის უღელტეხილზე 15 ვერსზე მომეტებული არ იქნება; მაგრამ მგზავრი მაინც დაღამებამდე უნდება ღამის სათევ ბინამდე. მგზავრობა არ შეიძლება არც მოღრუბლულს დღეში და არც მაშინ, როცა თოვს: გზას დაჰკარგავს და სადმე ხეობაში ჩაიჩეხება. ზვავის შიში სრულიად არ არის. არც დიდს თოვლს შეუძლიან მგზავრების დაბრკოლება, თუ ისინი ბევრნი არიან. ცხენის წყლის ხეობაში ერთი ღამე დარჩებიან, შემდეგ შემოვლენ სადადიანო სვანეთში, აქედამ ლეჩხუმს და ბოლოს ქუთაისს. მგზავრი ამ გზით რვა დღეს უნდება ქუთაისში ჩამოსვლას. ამ გზის უპირატესობა „ლენხერას“ გზასთან შედარებით ის არის, რომ ეს გზა უფრო მომეტებულის ხალხით დასახლებულს ადგილზე მიდის, სადაც სვანებს ნაცნობები ან, როგორც თითონ ეძახიან, კერძი კაცები ჰყავთ და თბილი ბინა და ვახშამი მზადა აქვთ.

დაგვრჩა სვანეთიდგან გამოსასვლელი მესამე გზა—მუშურის უღელტეხილზე გადმომავალი იმავე მესტიიდგან. ამ გზაზე წამოსული მგზავრი ქუთაისს ჩამოდის მეხუთე დღეს; მაშასადამე, სამის დღით ადრე, მინამ ლენხერითა და ნაკ-ზაგარით. აი ეს გზის სიმოკლე და სიმარჯვე ახარბებს მგზავრს სვანს, ავიწყებინებს ქართულს ანდაზას — „შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მოდიო“, და აბედვინებს მუშურზე წასვლას, თუმცა დარწმუნებული არასოდეს არ არის, რომ მუშურის გზას ცოცხალი გადურჩება. «მუშურზე მიმავალს მგზავრს ზიარება პირში უნდა ედვასო», ამბობს ხალხი მუშურზე უბედურს შემთხვევისაგან დაშინებული.

ავსწერ მუშურის უღელტეხილს და ამ გზით სიარულს. ხსენებული უღელტეხილი სძევს სვანეთის ქედზე, ლატფარის დასავლეთით 10—15 ვერსის სიშორეზე; მუშური ლატფარზე მაღალია. ჩრდილოეთით მუშურის ძირში კალის საზოგადოების (თავისუფალ სვანეთში) სოფ. დავბერი სძევს; სამხრეთით ჩოლურის (სადადიანო სვანეთი) სოფ. მაამი. სოფ. დავბერში დაბინავებული მგზავრი გადააბიჯებს თუ არა ენგურის მარცხენა ნაპირას, მაშინვე შევა მუშურის ღელეში (მუშერა ტვიბ). მგზავრი მიჰყვება ამ ღელე-ხევს, რომელიც ძირში, სოფლის მახლობლად, ვიწროა და იქედ-იქით ფერდოები არყას ტყით დაფარული აქვს. ამ ნაირად გაივლის დაახლოებით ორს ვერსს და მივა ცოტაოდენს დავაკებამდე, რომლის ზემოდაც ტყე არსად ხარობს და წინ დევს უტყეო ფერდოები და მუშურის დიდი აღმართი. აქ მცხოვრებლები შემდეგს თავდარიგს იჭერენ: აღმართს უნდა შეუდგნენ ჯიქურ, პირ-და-პირ, განზე გახვევა არ შეიძლება; სადაც წინამძღოლი ფეხს დააბიჯებს, უთუოდ უკან მიმყოლებმაც იმ ადგილას უნდა დაადგან ფეხი; უნდა იარონ კენტ-კენტად გამწკრივებულებმა კაკალ-კაკალ, ე. ი. ერთი მეორისაგან 5—6 საჟენის სიშორეზე უნდა იყოს დაცილებული; ხმა მაღლა და საზოგადოდ ლაპარაკი აღკრძალულია. ყველა ეს სიფრთხილე ჰმართებთ მგზავრებს, თორემ ზვავი ჩამოვაო, ამბობენ სვანები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საფრთხილო ყოფილა მუშურზე სიარული, როდესაც ლაპარაკიც კი ზვავს იწვევს, ე. ი. ლაპარაკის გამო შენძრეული ჰაერი თოვლს ხვდება და ზვავს აჩენს. (ეს ფიზიკური კანონი სვანებმა, რასაკვირველია, არ იციან). ამ სიფრთხილით ადიან მუშურის მწვერვალზე, რომელსაც „ქიბე კილოთარნს“ ეძახიან. სიტყვა „კილოოთ“ ქართულად ნიშნავს წვეტიანს კლდეს, ქვას და ამ ნაირად „ქიბე კილოთარნი“ ქართულად იქმნება „ზემო წვეტიანი კლდეები“, რომელნიც მუშურის მწვერვალზე რამდენიმეა. მწვერვალი მუშურისა სიფართოვით ძლიერ მცირეა. აქ მოსული მგზავრი ნახევრად გახარებულია, რადგანაც ჩრდილოეთის მხრით გადარჩა ზვავსა, მაგრამ ზვავის შიში მუშურის სამხრეთის ფერდოებზედაც ნაკლები არ არის. რამდენისამე ფეხის გადადგმაზე მწვერვალიდგან სამხრეთისკენ, ე. ი. დაღმართზე იწყება ისეთი ვიწრო გზა, რომ მგზავრის ფეხი ძლივსა თავსდება. სივიწროვის გამო ამ ბილიკისათვის სვანებს „დახლა სვიკვ“-ი (თხის ზურგი) დაურქმევიათ. აღმოსავლეთ-დასავლეთით «დახლა სვიკვ»-ს ხრამები აქვს. თუ მგზავრს რომელისამე მხრისკენ ფეხი გადუცილდა, დაიღუპება, ზვავს მოსწყვეტს და შიგ ჩაიფლობა ზაფხულამდე, ე. ი. თოვლის დადნობამდე.

„დახლა სვიკვ“-ს ქვემოდ იწყება „კიჩხილდ“-ი (პატარა კიბე), კლდე, რომელზედაც ისე უნდა ჩაიაროს კაცმა, როგორც ნამდვილს კიბის საფეხურებზე; კიდევ ნახევარი ვერსი საშიში გზა და მგზავრი მიაღწევს ტყის თავს, სადაც არაფრის შიში აღარ არის. მარტო აქ შეუძლიან მგზავრს თავისუფლად ამოისუნთქოს. ჩაათავებს ტყეს და კიდევაც შედის ჩოლურის საზოგადოებაში. მუშურზე გაზაფხულის პირადაც დაიარებიან. ამ დროს მზე დღისით თოვლის ზედა-კანს ათბობს, ღამე კი იმდენად ჰყინავს, რომ კაცს იმაგრებს და მგზავრი ისე დადის თოვლზე, როგორც ფიცრის იატაკზე. მხოლოდ საჭიროა მგზავრმა მუშურზე გასვლა-გამოსვლა მზის მაღლა ამოსვლამდე მოასწროს, თორემ თოვლი ჩაუტყდება გზაზე და ზვავს გააჩენს. ეს რომ არ მოხდეს, გაზაფხულის მგზავრი ყოველთვის ღამე მოგზაურობს.

თავისუფალი სვანი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** შნებელეს უბრალო საქმე როგორღაც გაჭიანურდა. გერმანია საფრანგეთს არ უთმობს და გერმანიის გაზეთები-კი ხმა-მაღლად გაიძახიან, რომ დიდი სიმართლე მიგვიძღოდა და იმიტომ დავატუსაღეთ შნებელეო, თუმცა ჯერ-ჯერობით-კი ვერაფრით დაუმტკიცებიათ ეს სიმართლე. რასაკვირველია, ყველა ამის გამო საფრანგეთში დიდად აღელვებულნი არიან და დიდს გაჭირვებაშია ამ ჟამად გობლე-ფლურანსის მთავრობა. საფრანგეთის ერი თავს შეურაცხყოფილად სცნობს გერმანიის მიერ შნებელის დატუსაღებით და თუ სამინისტრო ერის სურვილს არ აჰყვა, ძნელია, რადგან მაშინ შინაური საქმე გაუმწვავდება საფრანგეთის ახლანდელს მთავრობას და შეიძლება ამ მთავრობის მოწინააღმდეგეთ ისარგებლონ ამით. ამითი თუ აიხსნება, რომ, გაზეთების სიტყვით, ორლეანისტები, ბონაპარტისტები და კლერიკალები ყოველსავე ღონის-ძიებასა ჰხმარობენ და სცდილობენ, რომ საფრანგეთის ერს თავი შეურაცხყოფილად აჩვენონ; ყოველ წუთს ჩასძახიან ყურში, რომ გერმანიამ შეურაცხყოფა მოგვაყენა და საფრანგეთის ახლანდელი მთავრობა-კი ხმას არ იღებს, ერის დიდებასა და პატივს არ იცავსო. ეს სამი რესპუბლიკის დასი ამ ჟამად შეერთებულან და მღვრიე წყალში თევზის დაჭერასა ჰლამიან.

რომ საფრანგეთის ერი ძალიან აღელვებულია გერმანიის მიერ შნებელის დატუსაღების გამო, ამას აშკარად ამტკიცებენ საფრანგეთის გაზეთები. ეს გაზეთები თითქმის ყოველ-დღე გაიძახიან, რომ უნდა შური ვიძიოთ, გადავუხადოთ მთავრობას გერმანიისას ჩვენი შეურაცხყოფა და ამისათვის დავაპატიმროთ ჩვენცა, რაც საფრანგეთში გერმანიის ქვეშევრდომნი არიანო; მოვსთხოვოთ გერმანიას, რომ ბოდიში მოიხადოს იმისთანა უკანონობის ჩადენის გამო, როგორც შნებელის დაპატიმრებაა ჩვენსავე მიწა-წყალზეო. საფრანგეთის ერი აღელვებულია, მაგრამ ისე-კი არა, როგორც 1870 წელს იყო. ეხლა აღარ გაიძახიან: „ბერლინში! ბერლინში უნდა წავიდეთ პირ-და-პირაო!“ «მარსელიეზა»-ს აღარა ჰმღერიან; არა, ეხლა ყველა პირ-იქით იმას ამბობს, რომ

მშვიდად და გულ-დადებით უნდა მოვემზადნეთ, დიდით-პატარამდე უნდა შევიარაღდეთ და მზად უნდა ვიყვნეთ ყოველ შემთხვევისათვისაო. თუ მართლა გამწვავდა საფრანგეთისა და გერმანიის შორის საქმე და ბრძოლა ასტყდა ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის, ეს ბრძოლა ჯართა ბრძოლა-კი არა, ამ ორის ერის ბრძოლა იქმნება, ბრძოლა შეუწყალებელი, დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო.

თითქმის ყველა საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ჰკიცხავს ეხლანდელს მთავრობას საფრანგეთისას: გერმანიამ შეურაცხყოფა მოგვაყენა, საფრანგეთის ერის თავ-მოყვარეობა დაამცირა და თქვენ-კი ხმას არ იღებთო. სამინისტრო მიჰხვდა, თუ რა რიგად გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც იმყოფება, და ამიტომ გადასწყვიტა, რომ თუ გერმანია შნებელს არ გაანთავისუფლებს და არ დააკმაყოფილებს, საგანგებო კრება მოვიწვიოთ, ავიყაროთ თავიდგან პასუხის-მგებლობა და თავ-მდებობა და ერის წარმომადგენლებთან ერთად ვიმოქმედოთო. ხოლო ადვილად შესაძლებელია, რომ ეხლაც ისე მოხდეს და ისე დატრიალდეს საქმე, როგორც 1870 წ. მოხდა, როცა ლაპარაკი ასტყდა გოგენცოლლერის გვარის პრინცის კანდიდატობაზედ ისპანიის ტახტისთვის. მაშინაც მთავრობამ საგანგებო კრება დანიშნა, მაგრამ ბოლოს იმითი გათავდა საქმე, რომ ომი იქმნა გამოცხადებული. მით უფრო ადვილად მოსალოდნელია ეს ამბავი, რომ საფრანგეთის ერი ეხლა უფრო აღელვებულია, ვიდრე ამ 17 წლის წინად იყო. გოგენცოლლერების კანდიდატობა 1870 წ. უფრო ნაპოლეონის საგვარეულო საქმეს შეეხებოდა, ვიდრე საფრანგეთის ერსა; პირ-იქით, ეხლანდელი საქციელი გერმანიისა-კი პირ-და-პირი შეურაცხყოფაა მთელის საფრანგეთის ერისა, მუქარაა, ბრძოლაში გამოთხოვნაა იმისთანა მტერის მიერ, როგორიც გერმანიაა საფრანგეთისა.

თუ შნებელის საქმეს ამ მხრივ შევხედავთ, ძნელად თუ კიდევ ვინმემ სთქვას, რომ შნებელის საქმე განგებ გაზვიადებული საქმეა და ორის ერთის თავს არ დაედებაო; პოლიტიკაში უბრალო, უმნიშვნელო საქმე არა არის-რა, და თუ მართლა მთავრობამ საფრანგეთისამ პალატა მოიწვია და საგანგებო კრება დანიშნა, მარტო ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ შნებელის საქმე უბრალო საქმე არ არის, რომ მეტად გამწვავებულს მდგომარეობაშია ამ ორთა დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულება და რომ უფრო უარესად გამწვავებას ამ საქმისას უნდა მოველოდდეთ, თუმცა-კი ძნელად სავიქრებელია, რომ გერმანიამ საფრანგეთს ომი გამოუცხადოს იმ დრომდე, ვიდრე რუსეთს განზედ არ გაიგულებს და ისე არ მოახერხებს საქმეს, რომ რუსეთს ცალკე ამოუჩინოს სხვა საქმე სადმე, საფრანგეთიდგან განაცალკევოს და პირობა დაადებინეს, რომ არ ჩავერევი თქვენს საქმეშიო. მაგრამ რუსეთმაც ძნელად თუ 1870 წლის შეცდომა გაიმეოროს და მოსტყუვდეს გერმანიის სიცბიერითა.

ბისმარკის ანგარიში ყველას კარგად ესმის. ბისმარკს ის უნდა, რომ საფრანგეთის ერი როგორმე ააღელვოს გობლე-ფლურანსის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელსაც მოწყალე თვალით არ უყურებს, ძირს დასცეს ეს სამინისტრო და მასთან ერთად თავიდგან მოიშოროს მოძულებული გენერალი ბულანჟე. მაგრამ ძნელად თუ ბისმარკს ანგარიში გაუმართლდეს. როგორც საფრანგეთის ერის აღელვებას ეტყობა, ის არამც თუ არ გადააყენებს ბისმარკის მიერ მოძულებულს მთავრობას და სამხედრო მინისტრს ბულანჟეს, არამედ უფრო დაუახლოვდება მათ, დაკმაყოფილებას მოსთხოვს შნებელის საქმის გამო გერმანიას და თუ დაკმაყოფილებული არ იქმნა, იარაღსა და ბრძოლის ველს მიანდობს ამ საქმის გადაწყვეტას. ამას აშკარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მთელი ერი ყველა გერმანელთა დატუსაღებასა სთხოვს, რომელნიც-კი საფრანგეთში არიან, საფრანგეთსა და თუ დატუსაღება არა, ნება არ უნდა მიეცეს მაინც, რომ საფრანგეთში იცხოვრონ, აქ ცხოვრება უნდა აეკრძალოთ და გაძევებულ იქმნენ ჩვენის მიწა-წყლიდამაო.

# დეპეშა

## 22 აპრილი

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა საკასაციო საჩივარი პოლიციის ბოქაულის მაისუროვისა. მაისუროვმა უჩივლა ტფილისის სამოსამართლო პალატს, რომელმაც ბრალი დასდო იმაში, რომ ყალბობა ჩაიდინა და ძალათი ფულს ართმევდა ხალხსაო და ამის გამო განუჩინა აეხადოს განსაკუთრებული უფლებანი და გაიგზავნოს ტომსკის გუბერნიაშიო. სენატმა ეს საქმე ასე გადასწყვიტა: ტფილისის სამოსამართლო პალატის განჩინება გაუქმდეს და მაისუროვი განთავისუფლებულ იქმნასო.

## 23 აპრილი

**პეტერბურგი.** ამურის ნაპირის გენერალ-გუბერნატორი კორფი დანიშნულია ამურის ნაპირას გაწყობილ ყაზახის ჯარების ატამანად და ამასთან გენერალ-გუბერნატორის თანამდებობასაც იგივე აასრულებს.

გუშინ იყო პირველი კრება ავღანის გასამიჯნავ კამისიისა შემდეგი კრება სამშაბათს იქნება.

**სტამბოლი.** ჯერ არაფერია გარდაწყვეტილი იმის გამო, რომ ოსმალეთს რაღაც ცირკულიარის გამოცხადება უნდა ბოლგარიის საქმის შესახებაო.

**მასკოვა.** გენერალმა სალეტტამ ბრძანება გამოსცა და აღუკრძალა რაიმე აღებ-მიცემობა იქონიონ აბისინელებთანა. რომელი სავაჭრო გემი თუ ხომალდიც ამ ბრძანებას გადავა, საპრიზოდ დადგენილს სამართალს მიეცემა.

**პეტერბურგის ბირჟა, 21-ს აპრილს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდვე-ლისა | | გამყიდ-ველისა | | გაყიდუ-ლისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | › | — | › | 9 | 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | › | — | › | 180 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — | » | — | › | 1 | 37 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — | » | — | › | 260½ | |
| — მეორისა . . . . . | — | › | — | › | 240 | |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — | › | — | › | — | › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | › | — | › | — | › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — | › | — | › | — | › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

### აპრილი 30 დღით არის.

**24 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. საბა სტრატილატისა და ლირსისა ელისაბედისა. კათოლ. ვოიცეხისა და ფიდელისისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56, ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3.

**25 დღე შაბათი.** წმ. მარკოს მახარებელისა. კათოლ. წმ. მოწ. მარკოს მახარებელისა. მუსულ. ალბარათის ღამე. იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ ფიცი დასდო რუსეთის ერთგულებაზედ და რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, 1804 წ.—ქართლის მეფე ვახტანგი საქართველოდგან რუსეთში წავიდა თავის მხლებლებით რუსეთის დედოფალ ეკატერინე I-თან, როცა საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს, და დაჯილდოებულ იქმნა ეკატერინეს მიერ წმ. ანდრიას ორდენით, დაენიშნა ჯამაგირი წელიწადში 12,222 მან. (1725 წ.) და შემდეგ სხვა-და-სხვა დროს მიებოძა აგრეთვე რამდენიმე სოფელი 2896 კაცით დასახლებული. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. მთვარე 15 დღისაა.

**26 დღე კვირა.** წმ. ეპისკ. ვასილისა. კათოლ. მარცელინასი და კლავდიასი. სომეხ. წითელი კვირა (კარმირ კირაკი). მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტფილისში დაარსდა საჯარო წიგნთ-საცავი, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—5.

**27 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქ. და მოწ. სვიმეონისა. კათოლ. ანასტაზია და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—6. მთვარე 17 დღისაა.

**28 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. იასონისა. კათოლ. პავლესი და ვალერიანისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—56, ჩადის 7—7.

**29 დღე ოთხშაბათი.** წმიდათა ცხრა მოწამეთა. კათოლ. პეტრესი და თეოდორესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. მთვარე 19 დღისაა.

**30 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოციქ. იაკობისა და ძმისა წმ. იოანე მახარებელისა. კათოლ. სევერისა და სოფიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9. მთვარე 20 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი. . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

Дов. ценз. Тиф. 23 апрѣля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე